თამთა საჯაია

დაბადების თარიღი: 12.11.1988
მისამართი: [redacted]
საკონტაქტო ნომერი: [redacted]
ელ. ფოსტა: [redacted]

ავტობიოგრაფია

განათლება:

2006 წელს დავამთავრე სენაკის კერძო სკოლა „მარიოტა“.

2010 წლის 22 ივნისს, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის სკოლის N3 გადაწყვეტილებით, მომენიჭა სამართალმცოდნეობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

2012 წლის 20 ივნისს, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის სკოლის N3 გადაწყვეტილებით, ასევე მომენიჭა სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი სისხლის სამართალში.

სამუშაო და მასთან დაკავშირებული გამოცდილება:

2010 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში გავიარე ექვსთვიანი სტაჟირება.

2010 წლის 16 აგვისტოდან 2014 წლის 1 ნოემბრამდე ვმუშაობდი თბილისის საქალაქო სასამართლოს აპარატში, სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფის განყოფილებაში, სხდომის მდივნის თანამდებობაზე.

2014 წლის 1 ნოემბრიდან დავინიშნე თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის სამდივნოში მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე, ხოლო 2017 წლის 25 ივლისიდან 2018 წლის 10 მაისამდე - თბილისის საქალაქო სასამართლოს აპარატში სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის სამდივნოში მოსამართლის თანაშემწის პოზიციაზე.

2018 წლის 10 მაისიდან 2023 წლის 11 ივლისამდე ვმუშაობდი საქართველოს უზენაეს სასამართლოში სხვადასხვა პოზიციაზე: 2018 წლის 10 მაისიდან 2018 წლის 10 აგვისტომდე - სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სამდივნოში მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე; 2018 წლის 13 აგვისტოდან 2020 წლის 5 ოქტომბრამდე - სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სამდივნოში მწერალი თანაშემწის პოზიციაზე, ხოლო 2020 წლის 5 ოქტომბრიდან 2023 წლის 11 ივლისამდე - სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სამდივნოში მთავარი კონსულტანტის, მოსამართლის მწერალი თანაშემწის პოზიციაზე.

სერთიფიკატები:

2010 წლის 24 ივნისს ჩავაბარე ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირება სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

იუსტიციის უმაღლეს სკოლაში გავიარე მოსამართლის თანაშემწის სამთვიანი კურსი და 2012 წლის 30 იანვარს ჩავაბარე სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ტესტური გამოცდა.

2018 წლის 28 ივლისს ჩავაბარე მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციაში.

2023 წლის 11 ივლისიდან 2024 წლის 11 ივლისის ჩათვლით ვსწავლობდი იუსტიციის უმაღლეს სკოლაში, იუსტიციის მსმენელთა სასწავლო კურსზე.

ტრენინგები:

2011 წლიდან 2022 წლამდე ვმონაწილეობდი იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ ორგანიზებულ არაერთ ტრენინგში, მათ შორის შემდეგ საკითხებზე: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია; სასამართლო განაჩენთა დასაბუთება; სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმა, მისი დასაბუთება და ტექსტის სტილისტიკური გამართულობა; სისხლის სამართლის პროცესის სიახლეები; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები; ტრეფიკინგთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები: ტრეფიკინგის მსხვერპლთა, განსაკუთრებით ბავშვების ეფექტიანი დაცვა; ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვა; საპროცესო დოკუმენტების შედგენა (სისხლის სამართალი); მოწმის დაკითხვის ახალი წესი; სისხლის სამართლის პროცესის აქტუალური საკითხები; ირიბი მტკიცებულებებისა და სასამართლოს გარეთ გაკეთებული განცხადებების დასაშვებობა ოჯახური ძალადობის საქმეებზე; სქესობრივი დანაშაული; ეფექტური კომუნიკაცია.

2018 წლის 23-28 თებერვალს ვიყავი მართლმსაჯულების ზამთრის სკოლის მონაწილე და გამარჯვებული, რის საფუძველზეც 2018 წლის 16 ივნისიდან 2018 წლის 23 ივნისამდე ვიმყოფებოდი სასწავლო ვიზიტით ჰააგაში.

გარდა ამისა, დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის სასწავლო-საკონსულტაციო ცენტრში 2021 წლის 3 ოქტომბრიდან 2022 წლის 1 ივლისამდე გავიარე კურსი - გამოყენებითი ფსიქოლოგია.

ენები:

ვფლობ ინგლისურ ენას.

თამთა საჯაია თ. საჯაია

18.07.2024